

ა.ა.ი.პ „საქართველოს რაგბის კავშირი“-ს
სადისციპლინო კომისიის სხდომის ოქმი № 22

ქ.თბილისი

2021 წლის 18 იანვარი

სადისციპლინო კომისიის სხდომა ჩატარდა 2021 წლის 18 იანვარს, სხდომა ჩატარდა დისტანციურ სამუშაო რეჟიმში.

სადისციპლინო კომისიის სხდომა მოწვეულ იქნა კომისიის თავმჯდომარის დავალებით, სადისციპლინო კომისიის წევრებისთვის შეტყობინებისა და დღის წესრიგის გაგზავნის გზით.

სხდომას ესწრებოდა კომისიის 7 წევრი. სრკ-ს სადისციპლინო კოდექსის მე-5 მუხლის 5.11. პუნქტის თანახმად, სხდომა გამოცხადდა გადაწყვეტილებაუნარიანად, ამის გამო არცერთ დამსწრე წევრს პრეტენზია არ გამოუთქვამს.

სხდომაზე დამსწრე კომისიის წევრები: მირიან თავზარაშვილი, ედუარდ ნაჭყებია, ვახტანგ სამხარაძე, ლევან ჩიკვაძე, აკაკი კერესელიძე, ლაშა მაჭავარიანი, ირაკლი ჩიქავა.

სხდომას უძღვებოდა კომისიის თავმჯდომარე, მირიან თავზარაშვილი.

სადისციპლინო კომისიამ ზემოაღნიშნული შემადგენლობით, განიხილა მატჩის მთავარი მსაჯის პ. ჭიქაბერიძის წითელი ბარათის ოქმი, მატჩის ვიდეომასალა, გამოკითხა ქუთაისის „ბაგრატი“-ს მორაგბე რუსლან გიგაშვილი და თბ „დინამო“-ს მორაგბე თემურ იჩუაძე, ამა წლის 16 იანვარს, I ლიგის მატჩზე, ქუთაისის „ბაგრატი“-სა და თბ „დინამო“-ს შორის, მომხდარი ფაქტის შესახებ.

გ ა მ ო ა რ კ ვ ი ა :

1. ქუთაისის „ბაგრატის“-ს მორაგბე რუსლან გიგაშვილი - კონფლიქტის პროვოცირება.
2. თბ. „დინამო“-ს მორაგბე თემურ იჩუაძე - კონფლიქტის პროვოცირება.

სადისციპლინო კომისიამ იხელმძღვანელა სრკ სადისციპლინო კოდექსის 2.2.7 პუნქტით და მიიღო შემდეგი

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

1. ქუთაისის „ბაგრატი“-ს მორაგბე რუსლან გიგაშვილი დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.
2. თბ. „დინამო“-ს მორაგბე თემურ იჩუაძე დისკვალიფიცირებული იქნას 2(ორი) სათამაშო კვირით.

სრკ სადისციპლინო კომისიის თავმჯდომარე



/მ.თავზარაშვილი/